

მერაბ მოღეზაძე

პიესუგის კრებული



მ ე რ ა ბ ე მ ო ღ ე ბ ა ქ ე

პიესების კრებული

**თბილისი
2014**

გან აჩის დამნაშავე?

პიესა ორ მოქმედებად



მოქმედი პირები

დათო — მთავარი მოქმედი პირი

ლია და გია — დათოს მეგობრები

ლევანი — ქურდი

კახელი მისო

აფთარი — ყოფილი სამხედრო პირი

მოქმედების დრო 1990-1995 წლები

პირველი მოქმედება

სცენა №1

ციხის საკანში ხუთი კაცი ზის.

ქურდი. ძალიან ცხელა, ნეტა რა არის საჭირო, რომ ადამიანი გაგრილდეს? ჰა, რას იტყვი მიხო, შე კახელო ვირო შენა, ამოილე ხმა.

პატიმარი მიხო. რა არის საჭირო და ხის ქვეშ მიყუდებული გრილი ვირი.

ქურდი. შე მართლა ვირო, კახური ცივი ღვინო მაინც გეთქვა ჰა.

მიხო. რომ მეთქვა მაინც არ გაჩნდებოდა და ტყუილად რად უნდა მეთქვა.

ქურდი. მაშ ვირი რომ თქვი აქ ვინმე არის ვირი თუ რა?

მიხო. ვირი პირდაპირი გაგებით არა, მაგრამ ბევრი ადამიანი ვირსა ჰგავს.

ქურდი. აი მაგალითად ვინ ჰგავს აქ ვირს?

მიხო. ვინ და აი ეს ყმანვილი (და მიუთითა იქვე გულდაღმა მწოლ ყმანვილ ახალგაზრდა კაცზე, რომელსაც ეძინა თუ გამწარებული ფიქრს მისცემოდა, არავინ უწყობდა). აი, გუშინ რაც მოიყვანეს, მას შემდეგ ესე გდია, უკანალი ჩვენთვის მოუშვერია და ხმასაც არ იღებს, მაშ ვირია აბა რა არის, ხოდა ესეთ კაცს ვირულად უნდა მოექცე (მიუახლოვდება მწოლიარეს და უკანალზე ხელს დაკრავს). შენ, ეი, ხმა ამოილე და გადმოტრიალდი, თორემ, აი, კახეთში დარჩენილი ჩემი ვირივით გიხმარ და მერე ნახე შენი ბლავილი (ყმანვილი კაცი სანოლიდან გიჟივით ფეხზე წამოიჭრება და მიხოს ერთ ლაზათიანად მუშტს ყბაში უთავაზებს, რომელიც უკან გადავარდება და თავის მწოლიარ ამხანაგებს ზედ დაენარცხება, იგი ძლივს წამოდგება. ფეხზე ადგება მისი ორი ამხანაგიც, ახალგაზრდა კაცს მტრულ მზერას ესვრიან და მის საცემრად გაინევენ, მაგრამ ახალგაზრდა კაცის ძლიერი დარტყმე-

ბის შედეგად, ისინი დარეტიანებულები ქურდის ფეხებთან აღმოჩნდებიან).

მიხო. ნახე რა გვიყო ამ ღლაპმა ამან, უდანაშაულო ადამიანები ასეთ დღეში ჩაგვყარა, ხმა ამოიღე კაცო, ქურდი არა ხარ, სამართალი აღარ არის მაშ არ უნდა დავსაჯოთ ეს ბემურაზი ესა.

ქურდი (არხეინად წამოწოლილია ლოგინზე, ილიმება, თან სიგარეტს აბოლებს). კი მაგრამ რატომ უნდა დაისაჯოს, იგი ხომ მხოლოდ თავს იცავდა თქვენგან.

მიხო. კი, მაგრამ მან პირველმა გამარტყა.

ქურდი. იმიტომ გაგარტყა, რომ ღირსი იყავი, შენ არ იყავი, რომ შენი ვირივით გაუპატიურება მოუნდომე, მანაც კარგი წიხლი გითავაზა. ყველაფერი სამართლიანად მოხდა. მაგრამ ერთ რამეში კი შეცდა ეს ახალგაზრდა კაცი.

მიხო. ხო, ნამდვილად, შეცდა.

ქურდი. შენ გაჩუმდი, როცა მე ვლაპარაკობ.

ახალგაზრდა კაცი. შევცდი? რაში შევცდი?

ქურდი. იმაში შეცდი, რომ ქურდს თავზე არ უნდა გადაახტე და სანამ რამეს მოიმოქმედებ უნდა დამეკითხო, თორემ ეგრე რომ ციხეში ყოველ სიტყვაზე ყველამ ყველას ანგარიში გაუსწოროს დიდი ანარქია შეიქმნება, მე კი ანარქისტი არა ვარ და წესრიგი მიყვარს.

ციხეში შენ პირველად მოხვდი და ისიც ვიცი რისთვის, მეც შენს ადგილზე ისე მოვიქცეოდი და ბავშვიან ქალს გამოვექომაგებოდი, გემზე, როგორც ეს შენ გააკეთე და აქ მოხვდი. ამ ოთხ კედელს კი თავისი წესები აქვს და შენც უნდა დაემორჩილო მათ. ეს შენ ყაზარმა არ გეგონოს.

დათო. ღმერთის ათი მცნების გარდა მე არაფერს არ ვცნობ. სხვა ყოველი წესები და კანონები ადამიანების მოგონილია, და როდესაც აღარ აწყობთ, მაშინვე ცვლიან თავიანთ სასარგებლოთ, ღმერთისა კი უცვლელი და უკვდავია, ისე რომ შენ ჩემი მოძღვარი ვერ გახდები, რაც არ უნდა მელაპარაკო.

ქურდი. მაშ ილოცე, ყმანვილო და ვნახავთ აქ ვინ დაგეხმარება, მე შენ გასწავლი ჭკუას (ქურდმა ტანს ზემოთ გაიძრო ტანსაცმელი და თავის დაკუნთული და ტატუირებული მოხატული ტანი გამოაჩინა).

მიხო. მიდი ლევანჯან, აჩვენე სეირი მაგ ლანირაკს, მაგას, როგორ უნდა ქურდების პატივისცემა. (ამ დროს ციხის საკნის კარი გაიღება და ზედამხედველი დაიძახებს)

ზედამხედველი. დათო უგრეხელიძე სწრაფად დაკითხვაზე.

მიხო. ვახ, ეს რა ბედი ჰქონია ამ ბემურაზს ამას, რას გადარჩა.

დათო. ეს კიდევ საკითხავია, ვინ გადარჩა, მე თუ თქვენ (დგება და საკნიდან გადის).

სცენა №2

დრო გადის, ახალგაზრდა კაცი და ქურდი დამეგობრდნენ. არც თუ ისე დიდი ციხის საკანს მალლა მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარა აქვს, რომელშიც მოჩანს იალქნიანი გემივით მოცურავე ღრუბელი, მზის სხივებში სხვადასხვა ფერად მოციმციმე. საკანში ოთხი სანოლია. ერთ სანოლზე წვერმოშვებულ კაცს მკვდარივით სძინავს. ფანჯრის ქვეშ პატარა ხის მაგიდაზე შავი პურის ნაჭერი, ხახვი, არაყი და სიგარეტი დევს. მაგიდას დათო და ქურდი ლევანი უსხედან, არაყს სვამენ და სიგარეტს აბოლებენ.

ქურდი. დათო, ჩვენში დარჩეს და აი უკვე მესამე თვე იწურება შენი მოსვლის შემდეგ და არც შენ და, არც მე ერთმანეთის არაფერი ვიცით, მოდი ერთმანეთს გული გადავუშალოთ, ვხედავ რალაც ბოლმა გახრჩობს, მე ჩემსას გეტყვი, შენ შენი მითხარი, იქნებ საქმით თუ არა, სიტყვით მაინც დავეხმაროთ ერთმანეთს.

ქურდი (არაყს ასხამს, ჯერ დათოს ჭიქაში დაასხა, შემდეგ თავისი ჭიქა შეივსო, სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან, პირში ჩაიდო, მოუკიდა და ნაპასი დაარტყა, შემდეგ ჭიქას იღებს და სადღეგრძელოს ამბობს). მოდი, ამ ჭიქით, ჩემო დათო, ყველა გაჭირვებულ ადამიანს

გაუმარჯოს ამ ქვეყანაზე. (ჭიქა ბოლომდე გამოცალა და მაგიდაზე დადო და გააგრძელა) მე ერთი უთვისტომო კაცი ვარ, არც კი ვიცი, ვინა ვარ, საიდან ვარ და რა გვარის. ჩემს მშობლებს მე ქუჩაში დავუგდივარ, უპატრონოდ, შემდეგ ერთ უშვილო მარტოხელა დედაკაცს ვუპოვნე ვარ და სახლში წაუყვანივარ. გაჭირვებული იყო ის დედაკაცი, რომელიც დღე და ღამე შრომასა და ლუკმაპურის შოვნაში იყო. ყოველივეს ჩემთვის ცდილობდა და მეც შეძლებისდაგვარად არაფერი მაკლდა. ასე გამზარდა 13 წლამდე. ერთხელაც ღამე მისი კვნესა შემომესმა და გამელვიძა, მის საწოლს მივუახლოვდი, დავხედე და ღამის გული შემიღონდა, ჩემი დედინაცვალი სულს ღაფავდა. იგი სამოც წელს გადაცილებული დედაკაცი იქნებოდა და საკმაოდ ავადმყოფიც გახლდათ. დამინახა თუ არა ხელით მანიშნა, რომ მასთან მივსულიყავი, მე მის საწოლზე ჩამოვჯექი. შვილო, მითხრა მისუსტებული ხმით, ჩემი აღსასრულის დროც მოვიდა, ვერ მოვასწარი შენი ფეხზე დაყენება, მაგრამ ცხოვრებისა ნუ შეგეშინდება, შვილო, მე შენთვის წერილი მაქვს გამზადებული, ჩემი სიკვდილის შემდეგ, ჩემს ძმასთან წახვალ როსტოვში და ის გიპატრონებს. ჩემი დამარხვის ფული, აი, იმ უჯრაში დევს და ძველ კარადის უჯრისაკენ გაიშვირა ხელი. ერთი თხოვნა მაქვს შენთან, მან ხელით ჩემი ხელი მოძებნა და ოდნავ მომიჭირა და ხმის კანკალით მითხრა, რაც არ უნდა მოხდეს და როგორც არ უნდა გაგიჭირდეს, სიტყვა მომეცი, რომ არასოდეს იქურდებ, შემისრულებ ამ უკანასკნელ თხოვნას? ცრემლმორეულმა მკითხა და თვალებში შემომაცქერდა. მე საშინლად შემეცოდა ის საცოდავი დედაკაცი და მომაკვდავს პირობა მივეცი, რომ არასოდეს ვიქურდებდი.

დასაფლავების მეორე დღეს როსტოვში ბიძაჩემთან წასასვლელად მოვემზადე. დედინაცვლის დაზოგილი

ფულის დარჩენილი ნაწილი ავიღე, ერთ ძველ ჩანთაში ჩემი ნივთები ჩავალაგე, ჯიბეში წინასწარ ნაყიდი ბილეთი მოვსინჯე, შემდეგ კარები ჩაკეციე და თბილისის ერთ ძველ ქუჩას გავუყევი. სადამო ხანი იყო, ქუჩის ბოლოს ჩემზე უფრო მოზრდილი ბიჭები სიგარეტს ეწეოდნენ, მათ რომ გავუსწორდი, ერთ-ერთმა, რომელსაც თვალები პლანისაგან განითლებული და დასიებული ქონდა, მკითხა: ეი, შენ, საით გაგინევია? მე სტუმრად მივდივარ. სტუმრად? მაშ უფულოდ არ ნახვიდოდი სტუმრად, ამ სიტყვების შემდეგ, ისინი მომცვივდნენ და ცემა დამიწყეს. რა თქმა უნდა, ფულიც წამართვეს, ეს დედის ფულია, მისი დანაზოგი დამიბრუნეთ, ტირილით შევძახე მე. რაო, შე ნაბიჭვარო, არ იცი, რომ შენ აყვანილი მანან-ნალა ხარ, მომადახა ისევ იმ ბიჭმა და გამეტებით დამიწყეს ცემა. შემდეგ დანა ამოიღო და მომიქნია. მე დავიკუზე, მან თავი ვერ შეიმაგრა დაეცა თავის დანაზე და სასიკვდილოდ დაიჭრა. ამის დანახვაზე მისი თანატოლები გაიქცნენ და მე მარტო აღმოვჩნდი მომაკვდავთან. ამ ვითარებაში მილიციაც დამადგა თავზე და მკვლელობისთვის უდანაშაულო ბავშვს ციხე ამკიდეს. მას შემდეგ ციხე ჩემი სახლია, ხოლო ქურდობა ჩემი პროფესია. აი ასე ავუსრულე ფიცი ჩემს დედინაცვალს.

დათო. გული დამწვა შენმა ნაამბობმა, დასანანია, რომ შენი ცხოვრება ასე აენყო. მე, შენგან განსხვავებით, ვიცი ვინცა ვარ, და ვისი გვარისა ვარ, საიდან მოვდივარ, ოღონდ, არ ვიცი, საით მივდივარ. ერთ დროს კარგი ოჯახი მქონდა, დედ-მამა მყავდა, მეუღლე და ჩემი შვილი — გიორგი, ყველანი ერთად ერთ დიდ და ლამაზ სახლში ვცხოვრობდით. ყოველივე გაქრა ნისლივით, სიზმარივით, ამჟამად არაფერი და აღარავინ გამაჩნია. ბოროტმა ადამიანებმა ყველაფერი წამართვეს. (დათო სიგარეტს იღებს, ასანთს უკიდებს)

და აგრძელებს) ყოველივე იქიდან დაიწყო, როდესაც მოხალისედ აფხაზეთის ომში წავედი, მიუხედავად მშობლებისა და მეუღლის მუდარისა; ბრძოლების დროს სიკვდილს ბევრჯერ ჩავხედე თვალეში, მაგრამ ბრძოლის ველი არ მივატოვე ჩემი მინა-წყლის სიყვარულით. შემდგომში მოლაპარაკების შედეგად თითქოს ორივე მხარემ შეწყვიტა ბრძოლები. ნაწილი ლტოლვილებისა სოხუმს დაუბრუნდა და ჩემი მეუღლე და ერთი წლის გიორგიც ჩემს სანახავად ჩემთვის მოულოდნელად სოხუმში ჩამოვიდნენ. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ მათი უკან დაბრუნება მინდოდა, რადგან აფხაზეთის მშვიდობის არაფერი მწამდა, ჩემი ეჭვები გამართლდა და მალე სოხუმის დაბომბვა კვლავ გაგრძელდა და მეც ვჩქარობდი ცოლ-შვილის სწრაფად გამოშვებას უკან. ერთ-ერთ მანქანაში ჩავსვი ისინი და ის იყო უნდა დაძრულიყვნენ, რომ მტრის ნაღმმა მანქანა ააფეთქა და ცოლ-შვილი ჩემს თვალწინ ხანძარმოკიდებულ მანქანაში გამომენვა ცოცხლად. ამის შემდეგ ჩემთვის ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ბრძოლები განახლდა და მე მუდამ მოწინავე ხაზზე სიკვდილს ვეძებდი, მაგრამ ეს წყეული ტყვია რატომღაც მე არ მეკარებოდა, ჩემს გვერდით მყოფთ კი დაუნდობლად ცელავდა. ბევრი ღირსეული ახალგაზრდა იბრძოდა ამ ომში, მაგრამ ბევრი ნაძირალაც იყო შემოპარული, რომლებსაც მხოლოდ გამდიდრების სურვილი ამოძრავებდათ. ასეთი იყო ჩემი ოცეულის უფროსიც. როდესაც ჩვენ მტრის მიერ დაკავებულ დასახლებულ მიდამოს, სოფელს ან ქალაქს გავათავისუფლებდით, ის თავის დამქაშებთან ერთად ძარცვავდა ყველას და ყველაფერს, განურჩევლად ეროვნებისა, ცოცხლისა, მკვდრისა და დაჭრილისა. ამის შედეგად ჩვენ ხშირად მოგვდიოდა კამათი. ბოლოს სოხუმიდან ზღვით ვიხევდით უკან, ჩვენ განკარგულებაში მცირე ზომის

სამხედრო გემი იყო, რომელიც რაღაც სპეც-დანიშნულების ტვირთით იყო სავსე და ჩემი უფროსი ზედმეტს არავის უშვებდა იქ, მტერი ახლოს იყო და ზარბაზნების საშუალებით სანაპირო ზოლს ნაღმებს უშენდა. ნაპირზე კი ქალები და ბავშვები რჩებოდნენ, რომლებმაც მაშველ გემებზე ასვლა ვერ მოასწრეს. მე ვთხოვე ჩემს უფროსს რამდენიმე ბავშვიანი ქალი აეყვანა გემზე, რაზეც მან კატეგორიული უარი მითხრა. მე მას არ დავემორჩილე და, მის დაუკითხავად, ფარულად ერთი ბავშვიანი ქალი ავიყვანე და ქვემოთ ტრიუმში რაღაც შეფუთულ ნივთებთან დავმალე. გემი დაიძრა და ჩვენ შუა ზღვაში გავედით, მე ქვემოთ ჩავედი და ბავშვიან ქალს საჭმელი და სასმელი წყალი ჩავუტანე, მათ მადიანად მიირთვეს საჭმელი. მე კი მათ თვალს არ ვაცილებდი. ერთი წუთით წარმოვიდგინე, რომ ეს ჩემი ცოლ-შვილი იყო და მათი ცქერით ვტკბებოდი. შემდეგ უნებლიეთ მზერა რაღაც შეფუთულ საგნებზე გადავიტანე და ერთმა აზრმა გამიელვა. საინტერესო იყო, რა საგანგებო ტვირთი იყო ასეთი, რომ ადამიანის სიცოცხლეზე მეტად ფასობდა. ერთ შეკრულ ტომარას მოვხსენი პირი და თვალს არ დავუჯერე, იგი პირამდის იყო სავსე სხვადასხვა ძვირფასი ნივთებით, რას არ ნახავდი აქ. ოქროს ბეჭდებს, საყურეებს, ვერცხლის თასებს, ძვირფასი ჭურჭლით და სხვა ასეთი ტვირთით გატენილი იყო მთელი გემის ქვედა სალონი. ახლა კი ცხადი იყო ჩემთვის რა სპეცდანიშნულების ტვირთიც იყო სამხედრო გემზე, მაგრამ იმ წუთში რაიმეს ქმედებას აზრი არ ქონდა, რადგან გემი ყაჩაღთა ბრბოთი იყო გატენილი, რომლებსაც აფხაზეთში ნაძარცვი ქონება თბილისში ან თავიანთ სახლებში მიჰქონდათ. მე გადავწყვიტე ბათუმში ჩასვლის შემდეგ გამერკვია ყველაფერი და მათთან ანგარიში გამესწორებინა. ნაპირს მივუახლოვდით თუ არა შევეცადე ბავშვიანი

ქალი უსაფრთხოდ და შეუმჩნეველად ჩამომეყვანა ნაპირზე, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ მოვახერხე. სამალავიდან გამოვიყვანე თუ არა უფროსი და მისი დამქაშები დამადგნენ თავზე და უშვერი სიტყვებით გამომლანძღეს, სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის სამხედრო ტრიბუნალით დამემუქრნენ, მე სისხლმა ყელში ამომასხა. მეტი მოთმენა აღარ შემეძლო და უფროსს პირში მივახალე, რომ იგი მეომარი კი არა ყაჩაღი იყო. ამის დასტური კი გემზე დატვირთული ნაძარცვი ქონება იყო. მას ფერი ეცვალა, მიხვდა რომ გამოჭერილი მყავდა და შეეცადა ასეთი მონმისაგან განთავისუფლებულიყო. მან იარაღი ამოიღო და სროლა დამიპირა, მაგრამ მე მას დავასწარი და სიცოცხლეს გამოვასალმე. მე გამასამართლეს და დამნაშავედ მცნეს, არაფერმა გაჭრა. ჩემს წინააღმდეგ ოცი მონმე იყო. სასამართლომ ათი წელი მომიასჯა. ასე აღმოვჩნდი აქ, შენს გვერდით. რაც შეეხება ჩემს მშობლებს, მათ ჩემს შემყურეს დიდხანს არ უცოცხლიათ, ჯერ მამა გარდამეცვალა, ხოლო შემდეგ დედის გულმაც ვერ გაუძლო ჩემს საცოდაობას და ისიც მამას მალე მიყვა. ისე რომ ახლობელი აღარავინ მყავს.

ქურდი. ჯიგარი ჩამწვა შენმა ნაამბობმა, ისე კი დიდი ნაძირალა ჩაგიძალღებია, ბარაქალა შენს ვაჟკაცობას.

ქურდი. რა ბედი ენია დათო იმ გემს და მასზე დატვირთულ სიმდიდრეს?

დათო. წარმოდგენა არა მაქვს.

ქურდი. რა სამწუხაროა, რომ წარმოდგენა არა მაქვს. იქნება წარმოიდგინო და გაიხსენო ვინმე, ვინც გემის და მისი განძის ავანჩავანი იცოდეს.

დათო. შეიძლება კიდევ გავიხსენო ვინმე, ვინც იცის, ზოგი რამ ამ ამბის შესახებ, მაგრამ მერე რა, განა ციხიდან რაიმეს გაკეთება შეიძლება?

ქურდი. შეიძლება და მერე როგორ, ციხიდან ციხეში ჩემი განაჩენით განა კაცი არ მოუკლავთ თუ რა, მეტი რა გინდა შე დალოცვილო. შენ ოღონდ კარგად გაიხსენე ყვე-

ლაფერი და იცოდე იმ განძს და სიმდიდრეს ყელში ამოვადენ იმ ნაძირალებს.

დათო. შევეცდები.

ქურდი. (დრო გადის) დათო, მართლა რა უდანაშაულოდ იხდი სასჯელს, ხოლო შენი ყოფილი მეომარი მეგობრები ნაძარცვი განძით დროს ატარებენ, განა ეს სამართალია.

დათო. მერე მე რა შემიძლიან გავაკეთო?

ქურდი. ბევრი რამ, უპირველეს ყოვლისა შენ ციხიდან უნდა გათავისუფლდე.

დათო. რა აზრი აქვს ჩემს გათავისუფლებას ან ჩემს სიცოცხლეს, მე ხომ ამ ქვეყნად აღარავინ მყავს.

ქურდი. ვიცი გულგატეხილი ხარ, მაგრამ შენ უნდა აღსდგე ფერფლიდან და შენ გამაუბედურებელს სამაგიერო გადაუხადო. აი, მაშინ აქვს სიცოცხლეს აზრი, რომ სამართალმა პური ქამოს, ხოლო ბოროტება დაითრგუნოს.

დათო. რომელ ბოროტებაზე მელაპარაკები, განა ქურდები მამა-აბრამის ბატკნები არიან და ბოროტება მათთვის უცხო ხილია?

ქურდი. გააჩნია, რა შემთხვევაში, მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, განა ეს ქურდობაა, მთელი ჩემი ცხოვრება ავკაცობით გამდიდრებულ ნაძირალებს ვპარავდი და უბრალო ალალ-გულის ხალხს ვურიგებდი და კეთილ საქმეებში ვხარჯავდი, განა ეს ბოროტებაა, პირიქით, ეს ღვთის მადლით სამართლიანიც კი არის.

დათო. ეს მხოლოდ ფუჭი ლაპარაკია, ჩვენ აქედან არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.

ქურდი. მერე ვინ გეუბნება, რომ აქედან გავაკეთოთ საქმე. აქედან ჩვენ უნდა გავიქცეთ დათო. მაგრამ სანამ გავიქცევით, მოდი ჩვენი მოქმედების გეგმაც გავიაზროთ. არ დაგიმაღავ და გულახდილად გეტყვი, რომ დიდი ხანია ერთი საქმისთვის ვემზადები. ეს არავისთვის გამიმხელია, მაგრამ შენ გეტყვი, რადგან ღირსეული კაცი ჩანხარ და დარწმუნებული ვარ, გვერდში ამომიდგები. რატომღაც მჯერა შენი და მხოლოდ შენ გენდობი, სხვას არავის. ცხოვრებაში ჭირგამოვლილი,

გამოცდილი მეომარი კაცი ხარ, ჩვენ ერთად ქვეყანას გადავატრიალებთ.

დათო. რომელ გადატრიალებაზე მელაპარაკები, ძმაო, რევოლუცია ხომ არ გინდა მოახდინო?

ქურდი. რევოლუცია მოვახდინო ლენინი კი არა ვარ, დალოცვილო, მე ქურდი ვარ, მაგრამ პროლეტარიატის ბელადებისაგან განსხვავებით, მე ნამუსის ქუდი მახურავს თავზე: თავის დროზე ისინი ქურდობდნენ, ბანკებსაც ძარცვავდნენ, მაგრამ ნაქურდალი სად მიჰქონდათ არავინ უწყის, ჩვენი რისხვა პატიოსანი ადამიანების ძარცვის გზით გამდიდრებული ნაძირალების წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო მოპოვებულ სიმდიდრეს ჩვენ პატიოსან ბიზნესში ჩავდებთ და ხალხის სასარგებლოდ გამოვიყენებთ.

აი, სია (ქურდი ჯიბიდან ოთხად დაკეცილ ქალაქს იღებს და დათოს აჩვენებს). აი, ხედავ ამას, აქ, ამ სიაში არიან ზუსტად ეგეთი ადამიანები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, მათ სხვადასხვა დროს სხვადასხვა საშუალებებით ადამიანთა სისხლის წოვის გზით დიდი ქონება დააგროვეს, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ამჟამად კი ნაძარცვი ქონება სხვადასხვა საქმეებში და ბანკებში ჩადეს, ხოლო თავიანთ თავს პატიოსან ბიზნესმენებს უწოდებენ. ღმერთის დახმარებით მე მათ ქონების კონფისკაციას მოვახდენ და უფრო საჭირო საქმისათვის გამოვიყენებ.

დათო. მაგალითად, რაში მოიხმარ?

ქურდი. მაგალითად, ისეთ უპატრონო ბავშვებს მოვახმარ, როგორც ერთ დროს მე ვიყავი.

დათო. ეგ შეუძლებელია.

ქურდი. ეს შესაძლებელია. ამ სიას შენი ოჯახის დამაქცევლებიც მიემატება.

დათო. ვინ გყავს მხედველობაში?

ქურდი. ვინც ეს საშინელი და უაზრო ომი წამოიწყო სიმდიდრის დასაგროვებლად და რომელსაც შენი ცოლშვილი

შეენირა, ეს სიმდიდრე ნაძირალების ხელში აღმოჩნდა. მათ შორის არის ყოფილი შენი მეომრები.

დათო. (თითქოს უცბად შეცბა და გონება გაუნათდა) მართალი ხარ (მიუგო მან). ეხლა კი მივხვდი ყოველივეს, შურისძიებისათვის ღირს ცხოვრება. სისხლი სისხლის წილ, მე მათ პასუხს ყველაფერზე ვაგებინებ, გმადლობ ძმაო, რომ გონებიდან ბინდი ჩამომაცილე. აი, ჩემი ხელი (და იგი ქურდს ხელს გაუნვდის), ეს ხელი არასოდეს გიღალატებს. (ამ სიტყვებით ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ).

ქურდი. მამ დროს ნუ დაგკარგავთ, საკანში ორნი ვართ, მალე საჭმელს მოგვიტანენ, მე ისე გავაკეთებ, რომ მცველს საკანს გავაღებინებ. იგი მოსყიდულია და საკანში შემოვიტყუებ, ჩვენ ცრუ თავდასხმას გავითამაშებთ. მცველს შევბოჭავთ, შენ მის ტანსაცმელს ჩაიცვამ, მე კი მაქვს ამისათვის შესაფერისი ტანსაცმელი. (დათო და ქურდი ჩხუბს ატეხენ, ჩხუბზე მცველი შემოვა, ისინი მას დაატყვევებენ და ხელ-ფეხს გაუკრავენ. დათო გადაიცვამს მცველის ტანსაცმელს, ხოლო ქურდი წინასწარ მომზადებულ ექიმის თეთრ ხალათს გადაიცვამევს, ორივე ციხიდან გარბის. ამ დროს მათ სხვა მცველი დაინახავს და გაქცეულებს იარაღს ესვრის. ქურდი სასიკვდილოდ დაიჭრება. დათო მას თავზედ დაადგება და მის წაყვანას ცდილობს, მაგრამ ქურდი მას უარს ეუბნება).

ქურდი. ჩემი საქმე შავად არის, ძმაო. შენ წადი, მარტო გაიქეცი, თავს უშველე, აგერ სია თან წაიღე და ყველას სამაგიერო გადაუხადე, ჩემს მაგივრადაც გადაუხადე. მე ვკვდები, შემომფიცე, რომ ჩვენს დანყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვან და მტერს არ გაახარებ.

დათო. ვფიცავ, ლევან ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან, რაც არ უნდა დამიჯდეს (უცბად სროლის ხმა ისმის, მცველი დათოსკენ მორბის, დათო მომაკვდავს მიატოვებს და ციხიდან გარბის).

პირველი მოქმედების დასასრული.

მეორე მოქმედება

სცენა №3

რესტორანი თბილისში, რომელიც მტკვარს გადაჰყურებს. რესტორანში უკრავს თანამედროვე მუსიკა, სცენაზე ნახევრად შიშველი გოგოები ცეკვავენ, საღამო ხანია, რესტორანში ბევრი ხალხი ირევა. დათო ზის რესტორნის ბოლოში მაგიდასთან, ჭიქით შამპანიურს მიირთმევს და თან სიგარეტს აბოლებს. რესტორანში ახალგაზრდა ასაკის მამაკაცი შემოვიდა, სახეზე ნაიარევი ატყვია. იგი დათოს მაგიდისაკენ მიდის, მიესალმება და გვერდზე დაუჯდება.

დათო. როგორ არის საქმეები გია, ნახე ვინც უნდა გენახა?

გია. დიახ ვნახე, ვერ წარმოიდგენ ეგ ღორი როგორ არის გასუქებული, აფხაზეთში ნაძარცვი ქონება სხვადასხვა საქმეებში აქვს დაბანდებული, მათ შორის ყველაზე შემოსავლიანი ნავთობია, აგრეთვე სპირტიანი სასმელების და სიგარეტის მაღაზიების ქსელი აქვს სხვადასხვა ქალაქებში. ძლივს მიცნო და დაცვას ნება დართო ახლო მივსულიყავი, სულ ხუთი წუთი დამითმო, მერე მხარზე ხელი დამკრა, კარგი ბიჭი ხარო, მაგრამ შენთვის ეხლა არ მცალიაო. სასწრაფოდ დამემშვიდობა, ისე იქცეოდა, თითქოს მე მქონოდა მისი ვალი, მაგ ნაძირალას დაავიწყდა, რომ სიკვდილს გადავარჩინე, დაჭრილი მხრებით ბრძოლის ველიდან გამოვიყვანე.

დათო. აბა რა გეგონა, თან გადაგყვებოდა? სამსახურზე რა გითხრა?

გია. შენი შესაფერისი სამუშაო არა მაქვსო, მგონი რაღაც იყნოსა.

დათო. კარგი იყო მასთან სამსახური დაგეწყო, ყველაფერს დანვრილებით შევიტყობდით. ჩვენთვის მთავარი გავიგოთ სად ინახავს ფულს.

გია. მის დაცვაში ჩემი ძველი მეგობარი ნუგზარი დავინახე, შეიძლება მისი საშუალებით ზოგიერთი რამის გაგება.

დათო. ოღონდ ფრთხილად, არაფერი იყნოსოს.

გია. დღესვე შევხვდები, სახლში მივალ და მოვიკითხავ. ახლა კი შენთვის სასიამოვნო სიურპრიზი მაქვს, ცოტა ხანი დამელოდე და ახლავე შეიტყობ (იგი გადის რესტორნიდან).

დათო. (ჯიბიდან იღებს გაცვეთილ ქაღალდს. შლის, დასცქერის და თავისთვის ფიქრობს) ბევრი ნაძირალა არის ამ სიაში, შეიძლება ყველას ვერ გავწვდე და ვერც მოვერიო, მაგრამ ზოგიერთს კი მოვუგრეხ კისერს. (მან ქურდი ლევანის მიერ გადმოცემულ სიას თვალი გადაავლო. ამ ფიქრებში იყო, როდესაც ვიღაც ქალის მისალმების ხმა გაიგო, „გამარჯობა დათო“. დათოს მაგიდას ერთი ახალგაზრდა, სიმპათიური ქალი მიუახლოვდა გიასთან ერთად, დათო ფიქრებიდან გამოერკვა, ზევით აიხედა და სახე გაებადრა) ლია, გენაცვალე აქ რამ მოგიყვანა?

გია. აი, ხომ გითხარი, სიურპრიზი აუცილებლად გაგახარებს მეთქი (ორივე დათოს მაგიდას მიუსხდება).

ლია. გავიგე შენი ამბავი და მინდა ამ საქმეში გვერდზე ამოგიდგე. ისევ ერთად ვიბრძოლოთ უსამართლობის და ძალადობის წინააღმდეგ.

დათო. ამჯერად, ლია, ბრძოლა უფრო სასტიკი და დაუნდობელი იქნება, რადგან ეს ბრძოლის ველი კანონგარეშეა. სამაგიეროდ ნაძირალებს და არაკაცებს კანონი იცავთ. ამიტომ მე არ მინდა შენ გაერიო ამ საქმეში.

ლია. ყოველივე ჩემთვის ნათელია, გიამ ყველაფერი ამიხსნა, მე შენ გვერდით უნდა ვიყო, რადგან შენ გარდა აღარავინ მყავს, მეც შენსავით მარტოდ-მარტო ვარ ამ ქვეყანაზე და ეხლა რაღაც აზრი მიეცემა ჩემს სიცოცხლეს, თუ მე შენ გვერდით ვიბრძოლებ სიმართლისათვის. (ამ სიტყვების შემდეგ დათო ჭიქას აწევს და წარმოთქვამს).

დათო. ჩვენს სამართლიან ბრძოლას გაუმარჯოს (და სამივე ჭიქებს ერთმანეთს მიუჭახუნებს).

სცენა №4

დიდი მდიდრულად მოწყობილი ოთახი — ნახევრად ჩაბნელებული, ოთახში სამი ადამიანია, ერთი დივანზე ზის, დანარჩენი სკამებზე, ესენია: დათო, გია და ლია.

ლია. ნაძირალა რატომღაც იგვიანებს.

გია. მოვა, აუცილებლად მოვა, დღეს აქ, ზუსტად ვიცი, მოვა და ფულსაც შეინახავს სამალავში. (უცბად მანქანის ხმა ისმის ეზოდან, შემდეგ კიბეებზე ნაბიჯების ხმა ისმის. ვიღაც კარს უახლოვდება).

დათო. მოვიდა, აბა ყურადღებით იყავით. (ისმის კარის გაღების ხმა. ოთახში ვიღაც უცნობი მამაკაცი შემოდის. სან-ვიმარი ხელზე ქონდა გადაკიდებული, სინათლეს ანთებს, სანვიმარს კიდებს, მოტრიალდება, ოთახში შემოდის და გაოცებული უყურებს მის ოთახში ფეხი-ფეხზე გადადებულ და კარგად მოკალათებულ ერთ ქალსა და ორ მამაკაცს).

უცნობი მამაკაცი. აი შეხვედრა. გამარჯობათ თქვენი, აქ რამ მოგიყვანათ?

დათო. გამარჯობა აფთარო.

აფთარი. კიდევ გახსოვს ჩემი ზედმეტი სახელი.

დათო. მაგას რა დამავინწყებს, ზუსტად ამართლებ სახელს (უცბად კარებისაკენ მოახლოებული ნაბიჯების ხმა ისმის. გია ერთი ნახტომით კარებთან აღმოჩნდება და იარაღს ამოიღებს. კარებს აფთარის მცველი, ახოვანი კაცი აღებს და შემოდის. უცხოებს, რომ დაინახავს, იარაღს სწრაფად იღებს ჯიბიდან, მაგრამ ამ დროს გია უკნიდან კეფაზე მიაღებს თავის იარაღს და მცველი ადგილზე გაშეშდება).

გია. დააგდე იარაღი თორემ თავს გაგინვრიტავ ტყვიით. (მამაკაცი იარაღს აგდებს, გია იღებს მას და მცველს მის უფროსის გვერდით დასვამს).

აფთარი. ვერაფერი გამიგია, ჩემი ძველი თანამებრძოლები ჩემს

სახლში ჩუმად მოდიან და ჩემს მცველს იარაღს ართმევენ, ვერ ამიხსნით რა ხდება, ასე რატომ იქცევით?

დათო. შენ მეტის ღირსი არა ხარ, დაგავიწყდა აფხაზეთის ომში, როგორ ძარცვავდი და კლავდი ყველას სიმდიდრის გულისთვის. გამდიდრდი და სხვის უბედურებაზე ააშენე შენი ბედნიერება.

აფთარი. ნუთუ მართლა ეგრე ფიქრობთ ლია, გია, თქვენც ამ აზრისა ხართ.

გია. რა თქმა უნდა.

ლია. შენ ჩვენ ყველას უსამართლოდ მოგვეპყარი.

აფთარი. მაგრამ რაში მდებთ ბრალს, მე ვერ გამიგია.

დათო. იმაში გდებთ ბრალს, რომ შენ ქართველი მეომრის სახელი შეარცხვინე და ომში მარადიურობით გაითქვი სახელი. როდესაც ჩვენ სამშობლოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის თავს ვწირავდით, მაშინ შენ და შენი უფროსი არავის ინდობდით, ყველას ერთიანად ძარცვავდით ასაკისა და ეროვნების მიუხედავად, მიცვალებულებსაც კი არ ინდობდით, ასეთი გზით გამდიდრებული კვლავ განაგრძობ ბინძურ საქმეს და ნარკოტიკების გავრცელებასაც არ თაკილობ. ბოლოს როდესაც ნაძარცვი ქონებით ბათუმში გარბოდით, მე ბავშვიანი ქალი შევიფარე გემზე, ამისათვის შენ და შენმა უფროსმა სასიკვდილოდ გამიმეტეთ, მაგრამ არ გაგიმართლათ, დავასწარი სროლა და ის ნაძირალა სიცოცხლეს გამოვასალმე. ამისათვის მე ციხეში გამომამწყვდიეს, შენ გეგონა, მე ციხიდან აღარ გამოვიდოდი, მაგრამ შეცდი, გამოვედი და პასუხსაც ვაგებინებ. სათქმელს მოკლედ გეტყვი, ნაძარცვი ქონება უნდა მოგვცე. დანამდვილებით ვიცით, შენი უფროსის ქონება გემიდან შენ მიითვისე, ჩქარა, ფული გვჭირდება, თქვი სად გაქვს.

აფთარი. (ფეხზე წამოვარდა ყვირილით) აი თურმე რაზე მობრძანებულხართ, თქვენი დედა ვატირე (ამ სიტყვებით,

იარაღს იღებს სწრაფად უკანა ჯიბიდან და გიას ესვრის. ამ დროს აფთარის მცველიც იღებს იარაღს და დათოს უმიზნებს, მაგრამ ლიამ დაასწრო და ესროლა, დათო კი ესვრის აფთარს და ადგილზე კლავს. აფთარი და მისი მცველი უსულოდ ეცემიან, გია დაჭრილია და სისხლისაგან იცლება. დათო და ლია გიასთან მიიჭრებიან საშველად, მას სისხლი მკერდის არედან გადმოსდის. ლია სისხლის შეჩერებას ცხვირ-სახოცით ცდილობს, მაგრამ უშედეგოდ).

გია. მე თავი დამანებეთ, სახლი გაჩხრიკეთ.

დათო. ლია გიას მიხედე. (იგი სახლს ჩხრეკავს და სარკის უკან სამალავს პოულობს. ამოაცლის აფთარს ჯიბიდან გასაღებს და ალებს სეიფს, რომელიც დოლარებით არის გატენილი, იღებს ორ ჩანთას და მათ პირამდე ავსებს დოლარებით. შემდეგ მიუბრუნდება ლიას).
გია როგორ არის?

ლია. მას სასწრაფო დახმარება სჭირდება.

დათო. ჩქარა წავიდეთ აქედან (გადიან ეზოში, მანქანაში ჯდებიან და მიდიან).

სცენა №5

*მდიდრულად მოწყობილი სახლი —
დივანზე სხედან დათო და ლია.*

დათო. გია ვერ გადავარჩინეთ, იგი დაიღუპა. რა არის ჩემი სიცოცხლე, რას წარმოვადგენ, ვინ ვარ და რა მინდა მე ამ ქვეყანაზე ვერ გამირკვევია.

რატომ წამოვიწყე ეს ყოველივე, ეს ბრძოლა არაკაცების წინააღმდეგ დიდ მსხვერპლს იწვევს. განა ღირს ამდენ მსხვერპლად ეს დაწყვეტილი სიმდიდრე. გიას დაღუპვის შემდეგ, ქურდი ლევანის სიით, ათ ნაძირალას წავართვით ფული და კიდევ ოთხი კაცი დავკარგეთ, მართალია, ფული კეთილ

საქმეს მოვახმარეთ, გავეცით დაღუპულ მეომართა ოჯახებზე, ობლად დარჩენილ ბავშვებზე, მაგრამ ბოროტება ვერ მოვსპეთ, ისინი როგორც უკვდავი ურჩხულების თავები ისე ცვლიან ერთმანეთს. რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ, ღია, მე მგონია დროა შეეჩერდეთ და ყოველივეს წერტილი დაუსვათ. ჩვენზე სასტიკი ნადირობა არის გამოცხადებული, როგორც ცოფიან ცხოველებზე, ცალკე პოლიცია ნადირობს ჩვენზე, ცალკე კი ნადირალათა მიერ დაქირავებული მკვლელები. ახლობლებს და ნათესავებს გვიკლავენ, ჩვენზედ რომ ვერ მოუწვდებათ ხელი, უდანაშაულო ხალხს ხოცავენ.

ღია. როგორ ფიქრობ წერტილის დასმას? კურდღლებივით გავიქცევთ საზღვარგარეთ?

დათო. არა, მე არსად წამსვლელი არა ვარ, მაგრამ შენ, შენ უნდა წახვიდე ღია და, რაც შეიძლება შორს აქედან.

ღია. მაინც სად, სად უნდა წახვიდე?

დათო. უნდა წახვიდე საქართველოდან. წართმეული ფული და ოქრო ძველ სამხედრო საწყობშია, შენ იცი, ის სადაც არის — ზარბაზნის ჭურვებშია ჩადებული, ჩემი სახელით დაუკავშირდები საზღვარზე ჩვენს სამხედრო მეგობრებს. ისინი დაგეხმარებიან საზღვარგარეთ თურქეთით რომ გახვიდე და ფული თან გაიტანო. იქიდან ჯობია ბრძოლის გაგრძელება.

ღია. შენ რას იზამ, აქ აპირებ დარჩენას?

დათო. დიახ, ჯერჯერობით აქ საქმეები მაქვს მოსაგვარებელი. ეხლა კი წადი მარტო დამტოვე.

ღია. კარგი, მივდივარ, ხვალ დაგირეკავ. (გადის ოთახიდან, კარებს გაიხურავს და კიბეზე ეშვება).

დათო (თავისთვის მსჯელობს). დამთავრდა ყოველივე, ჩემს საცოდავ ყოფას წერტილი უნდა დავუსვა (ამ სიტყვების შემდეგ იგი იღებს იარაღს და ტყვიით ტენის. იარაღის ლულას შუბლზე მიიდებს, ჩახმახს გამოკრავს. ისმის სროლის ხმა. იგი უსულოდ ეცემა იატაკზე).

ლია (კიბეზე ჩასვლის დროს ესმის სროლის ხმა. იგი ადგილზე გაშეშდება, უცბად მოტრიალდება და კიბეზე ამორბის. გააღებს სახლის კარს. გარბის სასტუმრო ოთახში და დათოს გვამს ნაანყდება, დაიჩოქებს, აწევს გასისხლიანებულ მის თავს, მუხლებზე დაიდებს და ეფერება). ეს რა გააკეთე, დათო, რატომ, რატომ დამტოვე მარტო, ამ ქვეყანაზე. მე ხომ შენს მეტი აღარავინ მყავდა. ყოველივე ჩემი ბრალია, ძვირფასო, მე რომ შენთვის მეთქვა, შენგან ფეხმძიმედ ვიყავი, შენ ხომ ამ საქმეს არ ჩაიდენდი. შენ ხომ ასე ძალიან გინდოდა პატარა, შენი პატარა მემკვიდრე, შენი საქმის გამგრძელებელი, შენი გვარის გამგრძელებელი.

მე მას შენ მაინც გაგიჩენ, დათო, მთელ ჩვენს ქონებას მას, შენს შვილს მოვახმარ, ღირსეულ ადამიანად გავზრდი და შენ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანო. (ამ სიტყვების შემდეგ იგი დათოს ჯიბიდან ქურდი ლევანის მიერ მოცემულ სიას იღებს). მე მათ ყველას სამაგიეროს გადავუხდი, შენ სულსა და ამ პატარის სიცოცხლეს ვფიცავ, ჩემო დათო. (იგი დათოს სისხლიან იარაღს იღებს ერთ ხელში, ხოლო მეორეში კი სია უჭირავს და ისე გადის ოთახიდან).

პიესის დასასრული

